

619
1978

ՅՈՒՆԻՍԵՖ
ՀՈՆԴՈՒՄԵՆՆ



ՆԱՄԱՅԵ

036000
№ 6 1978 Յ.



დროშა პოსტალით ლენინი უკუხედავს

საქართველოს კომკავშირის ას ერთი წარგზავნილი მივემგზავრებით მოსკოვში საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობაზე. დიდი სიხარულით, დიდი მოვალეობის გრძნობითაა სავსე ჩვენი გულები. შევდივართ ყრილობათა სასახლეში, უზარმაზარი დარბაზი ახალგაზრდებითაა გაჭედილი.

ყრილობაზე ბევრი სერიოზული პრობლემა წამოიჭრა, მრავალი ღონისძიება დაიხატა. ყრილობაზე შთაშავსებული სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ყრილობის მონაწილენი სულგანაბული ვუსმენდით საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის სიტყვას, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია საბჭოთა ახალგაზრდა თაობისათვის. ვუსმენდით ლეონიდ ილიას ძეს და ჩვენ, ყრილობის დელეგატებმა, კიდევ ერთხელ ნათლად ვიგრძენით, რომ ჩვენი სახელმწიფოს სათავეში დგას დიდი ადამიანი.

ჭეშმარიტი ლენინელი, პოლიტიკოსი და მებრძოლი, პარტიოტი და ინტერნაციონალისტი, შეუპოვარი მებრძოლი მშვიდობისათვის, ახალგაზრდობის მჩრეველი და დიდი მეგობარი.

ვუსმენდით ლეონიდ ბრეჟნევის მამობრივ, კეთილ, ბრძნულ, ჭეშმარიტად ლენინურ, პარტიულ სიტყვას და ყოველი ჩვენგანი გულში ფიცს სდებდა — ერთგულად და თავდაწირვით ვემსახუროთ ლენინის, პარტიის საქმეს, ხალხის კეთილდღეობას, ვემსახუროთ ისე, როგორც გვიანდერძეს ჩვენმა მამა-პაპებმა.

დარბაზში ტაშის გრიალით გაცვილა კომკავშირის XVIII ყრილობის სახელობის დამკვრელურ-კომკავშირული რაზმის მებრძოლები, რომლებმაც მიიღეს „ბამის“ ახალგაზრდა მშენებლების შრომითი დიდების ესტაფეტა. ლეონიდ ილიას ძის სიტყვით გამხსენებულები, ხალხისა და პარტიის ნდობით აღჭურვილნი, ისინი ყრილობიდან პირდაპირ „ბამზე“, „ატომმაზე“, „უსტ-ილინსკზე“ მიდიოდნენ. პარტიის ერთგულმა თანაშემწეებმა ერთხელ კიდევ ცხადაპყვეს, რომ კომკავშირი განუხრელად მისდევს პავა კორჩაგინის ტრადიციებს — ახალგაზრდობა იდგეს იქ, სადაც სიძნელეა გადასალა. ხავი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა „ბამის“ პირველ მშენებლებს ასე მიმართა: „პარტიას სჭერა ახალ-

გაზრდა თაობის, კომკავშირის არახდროს არ უღალატია ჩვენთვის“.

ჩვენ უველამ ვიცით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე; ყრილობა მთავარ მიზნად ისახავდა სოციალიზმის შენებას. დღეს, სამოცი წლის შემდეგ, როცა ვუსმენდით ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელს ლ. ი. ბრეჟნევს, ჩვენ მთელი არსებით შევიგრძენით თანამედროვეობის სულისკვეთება, შევიგრძენით იმ მონაპოვრის სიმდიდრე, რომლის ბატონ-პატრონი ვახლავართ დღეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა არა მარტო მამობრივი მზრუნველობით და სიბრძნით იყო აღსავსე, მისი სიტყვა გამსჭვალული იყო ლენინური, პარტიული მომთხოვნელობით; რა საკითხსაც შეეხებოდა ლ. ი. ბრეჟნევი — პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. თუ კომკავშირული დევიზის — „ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედს — ახალგაზრდების ენთუზიზმი და შემოქმედება“ — განხორციელებას, ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, კომკავშირის შეფობას ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროზე თუ ყოველდღიური იდეურ-პოლიტიკური ღონის ამაღლებას, უველაფერმა უდიდესი გამოძახილი ჰპოვა ჩვენს გულებში.

სიტყვას ამბობდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და ჩვენ თვალწინ გადაგვეშალა ის გმირული ეპოპეა, რომელიც განახორციელა განვლილი სამოცი წლის მანძილზე ჩვენმა პარტიამ და ხალხმა; დააარაკობდა ლ. ი. ბრეჟნევი და ჩვენ გვესმოდა, რომ ამ წარმატებებში ჩვენც, კომკავშირელებსაც მიგვიძღვის მცირეოდენი წვლილი.

„... ჩვენ გვჭერა, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — ჩვენო ნორჩ მეგობრებო, რომ თქვენი მომავალი — ეს არის თავისუფალი შრომა მშვიდობიან პლანეტაზე!“ დარბაზში მქუხარე ტაში და შეძახილები გაისმა: „კომუნისტურ პარტიას — დიდება!“, „ლენინი ჩვენთანაა!“, „მუდამ პარტიასთან ერთად!“, „მალლა ვატარებთ კომუნისმის დროშას!“ ეს იყო ჩვენი ფიცი, ფიცი ერთგული, ფიცი ურყევი მშობლიური პარტიისადმი.

ირინე თევდორაძე,

საქართველოს კომკავშირის თბილისის 26 კომისრების რაიკომის მეორე მდივანი, საკავშირო ალკე მეთვრამეტე ყრილობის დელეგატი.



პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეეროდით!

დროშა

№ 6 (498). ივნისი, 1978 წ.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი
საბ. კავშირის გამოცემილობა

© „დროშა“, 1978.




მთავარი რედაქტორი რეპუზ მარგინი

სარედაქციო კოლეგია:

- გულნარა ბახტაძე
- თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი)
- ოთარ დემეტრაშვილი
- გურამ დოჩანაშვილი
- სერგო ლუგოშინიძე
- დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი)
- ლადო სულაბერიძე
- ილია ტახალაშა
- უჩა ჯაფარიძე

საქ. სსრ კ. მარქსი
საბ. საბ. რესპუბ.
გამომცემი



ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი: დაიწყო ჭვრის წყალსაცავის ინტენსიური ავსება. რესპუბლიკის უდიდესი მშენებლობის კოლექტივმა თავისი შრომითი გამარჯვება მიიტანა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებას.

დამთავრდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი: დაიწყო ჭვრის წყალსაცავის ინტენსიური ავსება. რესპუბლიკის უდიდესი მშენებლობის კოლექტივმა თავისი შრომითი გამარჯვება მიიტანა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებას.

ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად 22 აპრილს აქ გაიმართა ზეიმი, ავღრის მიუხედავად სადღესასწაულო მითინგზე ათასობით ადამიანი მოვიდა. აქ არიან მშენებლები, მემონტაჟეები, ექსპლოატაციის მუშაკები, ბევრი სტუმარი, რომლებიც თბილისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ზუგდიდის, გალის, წალენჯიხის, მესტიის, რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ჩამოვიდნენ.

პლაკატები და ტრანსპარანტები ულოცავენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს დიდ გამარჯვებას, მოუწოდებენ, განაზოცილონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ახალი შრომითი გამარჯვებით აღნიშნონ მეთვლეწილედის მესამე, დამკვირვებელი წელი.

... გაისმა ბრძანება, გახსნეს რაბები, და აბოზქრებული და აქაფებული წყალი 100 მეტრი სიმაღლიდან დაქანდა. წყლის ხმაურს ერწყმის ტაში, რომელიც გაისმის მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად.

მითინგის ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრის მოადგილე ნ. მ. ივანცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ნ. მარჩუცი, „მთავარჰიდროენერგომშენის“ უფროსი ვ. ი. ბორისოვი, სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მშენებლები.

მითინგი გახსნა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ვ. ჯანჭავამ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

მიმართა რა მითინგის მონაწილეებს, ამხ. შევარდნაძემ თქვა:


ჩვენ ყველანი აქ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ აღვნიშნოთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ახალი შრომითი გამარჯვება.

გასული საიუბილეო წლის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წლის, საბჭოთა კონსტიტუციის — მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონის მიღების წლის დეკემბრის დამთავრდა მშენებლობის ერთ-ერთი პირველი ეტაპი — მდინარე ენგურის გადახილვა და დაიწყო ჭვრის წყალსაცავის ავსება.

დღეს აღვნიშნავთ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ეტაპს. 15 აპრილს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დამთავრების დღეს, მთლიანად, სამუდამოდ გადაიკეტა თაღოვანი კაშხალის სამშენებლო ხვრეტები და ახლა ჭვრის წყალსაცავი განსაკუთრებით ინტენსიურად ივსება.

მითინგზე მიიღეს მიმართვა ყველა მშენებლისა და მემონტაჟისადმი, საწარმოების, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებისადმი, რომლებიც მონაწილეობენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. ენგურელებმა გადასინჯეს წინათ ნაკისრი ვალდებულებანი.

გადაწყდა 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის დღისათვის — უზრუნველყონ მეორე მილიონი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმა, სოლო 22 დეკემბრისათვის — ენერგეტიკოსის დღისათვის — ამოქმედონ სამივე აგრეგატი.



საქართველოს კვ ხობის რაიონის პირველი მდივანი ნუგზარ ნადარაია.



ხეთის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმაში.

პირველი გაერთიანება, რომელიც ხობის რაიონში შეიქმნა, ეს იყო საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო. მან თავი მოუყარა კოლმეურნეობებში დაქსაქსულ წვრილ-წვრილ სამშენებლო ბრიგადებს, რომლებსაც არ გააჩნდათ ტექნიკა და პრიმიტიულად მუშაობდნენ. ეს გაერთიანება ახლარესპუბლიკაში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ერთ-ერთი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციაა. რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს წელს მან ორ-ნახევარი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეუსრულოს.

მშენებელთა მამაცური შრომის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ საიუბილეო წელს მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მათ მიეკუთვნათ სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საქავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. თერთმეტჯერ ებურათ ხელთ აგრეთვე საქავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები.

ხობის რაიონის მშენებლებს წლების მანძილზე უნარჩუნად ხელმძღვანელობს თავისი საქმის ღრმა მცოდნე და გამოცდილი ინჟინერი ხუტა ბერაია. ის, რაც მისი ხელმძღვანელობით შენდება, ლაზათიანი და მკვიდრია.

რაიონში შენდება თანამედროვე საცხოვრებელი სახლები და აღმინისტრაციული კორპუსები, კულტურის კერები, საყოფაცხოვრებო მომსახურების

ხობის ერთ-ერთი კუთხე.

ობიექტები, სკოლები, მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსები, აგროქიმიური და ტექნიკის ცენტრები. მშენებელთა მოუღლეელი მარჯვენით იჭრება ახალი გზები, წყალუხვ მდინარეებს სერავენ ხიდეები. ხარაჩოების ტყეშია ჩასმული მთელი რაიონი.

სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე მძლავრად იკიდებს ფეხს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. იგი ქმნის ეკონომიკის აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დიდ შესაძლებლობებს.

პარტიის ხობის რაიკომმა და მისმა პირველმა მდივანმა — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნუგზარ ნადარაიამ დიდი შრომა გასწიეს მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის. მართვის სრულყოფის, დარგების სწორი განლაგების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საკითხებს სისტემატურად განიხილავენ რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, ამ საკითხებს უძღვნიან აგრეთვე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, პარტიორგანიზაციების მდივნების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სემინარულ მეცადინეობებს.

ოროდღე წლის წინათ პარტიის რაიკომმა ღრმად შეისწავლა და ანალიზი გაუკეთა მეცხოველეობის მდგომარეობას. შედეგები არასახარბიელო აღმოჩნდა. პროდუქციის წარმოება დაქსაქსული იყო ათობით წვრილ ფერმასა და ბრიგადაში. ეს დანაწევრება იწვევდა ფულადი სახსრებისა და ჰატერიალურ ფასეულობათა დაქსაქსვას, ხელს უშლდა კომპლექსური მექანიზაციისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, ამცირებდა რენტაბელობას. შრომისა და ფულადი სახსრების დანახარჩები


ერთეულ პროდუქციაზე ბევრად სჭარბობდა დადგენილ ნორმებს.

გამოსავალი სწორედ მეცხოველეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია იყო. რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაბედულად წავიდა ამ გზით. მან უნარჩუნად გამოიყენა საპროგრამო დოკუმენტები: სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „ხობის რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და საკვების ბაზის განმტკიცების ღონისძიებითა შესახებ“.

ეს დოკუმენტები გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით ეკონომიკის აყვავებისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათ დაუშრეტელი ძალა და ენერჯია შემატეს რაიონის მშრომელებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

რაიონის კომუნისტებმა შეიმუშავეს და წარმატებით ახორციელებენ მეცხოველეობის აღმავლობის მეცნიერულად დასაბუთებულ კომპლექსურ პროგრამას. სიკეთის ნაყოფიც ნათლად გამოიკვეთა. ამას წინათ ვეწვიეთ მეძროხეობის სამეურნეობათაშორისო კომპლექსს. მისი ტერიტორია შვიდ ჰექტარზეა გადაჭიმული. სამამულო წარმოების თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულ ამ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ყველა შრომითი პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. კომპლექსს გარს ერტყმის წყლის საწრეტი არხებით დახერილი ათობით ჰექტარი სათიბები და საძოვრები, რომლებზეც მთელი წლის განმავლობაში მწვანე მოლია გადაშლილი.

შორიდანვე მოჰკრავთ თვალს აგურის მაღალ კოშკს, რომელიც წყალს უხვად აწვდის პირუტყვის ყველა სადგომს. კოშკის მასლობლად რამდენიმე გრძელი კაპიტალური ნაგებობა წამომართულა. მათ შორის ოთხი სადგომი რვაასი ჯაშინი ძროხისათვისაა განკუთვნილი. ცალკეა სახბორები, საწველი მოედანი, რძის გადამამუშავებელი ბლოკი, მაცივარი, საკვების სააპქრო, სახილოსე და საფურაჟე ტრანშეები. კომპლექსის ცენტრ-



ში დღას აღმინისტრაციული სახლი. გზები და მოედნები მთლიანად მოასფალტებულია, გაჩრდილებულია დღის სინათლის ლამპიონებით.

ხობის მელორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება რესპუბლიკაში პირველია. მასში შევიდნენ ახალსოფლის, ქვალონის, პატარა ფოთის მელორეობის საბჭოთა მეურნეობები. გაერთიანებას სათავეში უდგას გამოცდილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი ნოდარ კარტოზია. მოკლე პერიოდში გაერთიანებამ ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსის სისწორე და ცხოველყოფილობა. მისმოკლექტივმა დაარსების პირველ წელსვე სახელმწიფოს მიჰყიდა ერთნახევარჯერ მეტი ხორცი და რძე, ვიდრე მასში შემავალი მეურნეობები ყოველწლიურად ამზადებდნენ. ხუთწლედის მესამე წელს კი იმისათვის იბრძვიან, რომ შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ხორცი და ერთნახევარჯერ მეტი რძე შემატონ მშრომელთა სუფრას.

უკვე საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ხამისქურის ხბოების სამეურნეობათაშორისო გამოსაზრდელი კომპლექსი, პირველი მაისის დიმიტროვის, ბიის კალინინის, საჩიჯოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა ბაზაზე შექმნილი მელორეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომლის ბიოგრაფიის დასაწერის გასული საიუბილეო წელია. პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებაში მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს ხელოვნური დათესვის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება.

ხობელემა ბევრი რამ იღონეს პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. შეიქმნა და სრული დატვირთვით მუშაობს საკვების მოპოვებისა და გადამუშავების ყულევის სამეურნეობათაშორისო განყოფილება. გარდა ამისა, ყველა კომპლექსში, მეურნეობასა და გაერთიანებაში ჩამოყალიბებულია საკვებმოპოვების ბრიგადები.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირების საფუძველზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დიდ უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შარშან რაიონის მშრომელთა სახელმწიფოს მიჰყიდეს თითქმის ერთნახევარჯერ მეტი ხორცი და რძე, ვიდრე წინა წლებში. 25-30 პროცენტით შემცირდა ხორცისა და რძის წარმოების თვითღირებულება. წინათ მეცხოველეობა თუ წამებოიანი იყო, ახლა იგი დიდ მოგებას იძლევა.

ფართოდ ვითარდება შიგამეურნეო სპეციალიზაციაც. ახალი ხიბულის კროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი შალვა კემულარია, რაიონში ჩაის ყველაზე უხვ მოსავალს იღებს. ამასთან ერთად, მეცხოველეობის განვითარებასაც ჯეროვან ყურადღებას უთმობენ. აქ ფერმაში ჰყავთ ჯიშოანი ძროხები, თითოეულის წველადობა სამი-ათას კილოგრამს აღემატება. ძროხების საუკეთე-



ხამისქურის საკოლმეურნეობათაშორისო ხბოების გამოსაზრდელი.

სო ფერმა აქვს ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასაც. მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა საკოლმეურნეო მშენებლობის უნარირანი ორგანიზატორი უორუი ბუკია, კოლმეურნეობაში გამოხატეს პირუტყვის საკვების საიმედო წყარო. თავმჯდომარის ინიციატივით კოლხეთის სუბტროპიკულ ზონაში შვრიის, ჭვავისა და სხვა საკვები კულტურების ორი-სამი მოსავალი მოპყავთ წელიწადში.

წარმატებით ვითარდება სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. მაგალითად, დაფინსა და ციტრუსების ძირითადი მწარმოებლები გახდნენ ჯეთის, კოლხეთისა და თორსის საბჭოთა მეურნეობები. ხორვის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა. რაიონში მეხარეშუმეობის შემდგომი განვითარების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ახლად ჩამოყალიბებულმა ხორვის თუთის სანერგე მეურნეობამ, რომელიც მალე ათასობით ძირ საუეთესო ჯიშის ნერგებს მიაწვდის მეურნეობებს. ერთი სიტყვით, რაიონში არ არსებობს მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელსაც სპეციალიზაცია არ შეხება.

რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანოების შთავარი საზრუნავი კვლავაც სამეურნეობათაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის განვითარებაა. აქ ითვალისწინებენ მეციტრუსეობას, კერძოდ, ლიმონის სპეციალიზებული მეურნეობის შექმნას, აგრეთვე სასათბურო მეურნეობის განვითარებას, რისთვისაც აქ მეთისმეტად ხელსაყრელი პირობებია. სათბობ ენერგიად ფართოდ გამოიყენებენ თერმულ წყლებს, რომლებიც უხვად მოჩქევენ კოლხეთის ველის მიწის წიაღიდან.

მომწიფდა საკითხი შეიქმნას მეფუტკრეობის გაერთიანება, მომრავლდეს მსოფლიოში სახელგანთქმული რუხი ქართული მთის — მეგრული პოპულაციის ფუტკარი. საქირთა სამრეწველო

საფუძველზე წარმართოს მეფრინველეობა. გასაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიხვებობასა და მებატეობას. რაიონის წყლის მდიდარი მარაგი იძლევა ამ ფრინველების მოშენების კარგ შესაძლებლობას, რითაც ხორცის წარმოების გადიდების კიდევ ერთი რეზერვი ჩადგება მწყობრში.

ცხოვრება აყენებს სხვა პრობლემებსაც. ხობში არ არის რძის ქარხანა და რძე ცხაკიასა და ფოთში მიჰყვთ. ეს იწვევს დიდ ხარჯებს და აუარესებს ხარისხს. საქირთა მალე გადაწყვედეს ქარხნის აგების საკითხი.

შემდგომი ორგანოების დადგენილებით დამტკიცებულია საბჭოთა და სახელმწიფო მეურნეობების მეცხოველეობის ფერებში მომუშავე მუშებისა და სხვა მუშაკების მატერიალური წახალისების გადიდებული ღონისძიებანი. კარგი იქნება თუ იგი კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების ფერებში დასაქმებულ მშრომელბზეც გავრცელდება.

ვარაუდობენ, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის გაერთიანებებისა და სპეციალიზებული მეურნეობების წილად მოვა რაიონში წარმოებული ხორცისა და რძის 80-85 პროცენტი. ამ საქმეში რაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას მალე შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მეცხრე პლენუმმა, ხოლო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მოიწონა ხობელთა პარტიოტული თაოსნობა, სესიის ტრიბუნიდან ითქვა:

„...1978 წლის გეგმის პროექტის განხილვის დროს სრულიად სამართლიანად, ყველასაგან განსხვავებით და ყველას მისაბამად მოიქცა ხობის რაიონის ხელმძღვანელობა, მან მოითხოვა სოფლის მეურნეობის ისეთ ძირითად სახეობათა პროდუქტების დაშვადების გეგმის გადიდება, როგორც არის ხორცი და რძე“.

ხობელემა პირობა დადეს: წელს გეგმით გათვალისწინებული 2.110 ტონა ხორცისა და 1.800 ტონა რძის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.600 ტონა ხორცი და 3.000 ტონა რძე. ეს არის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დაშვადების გადიდებისადმი პარტიულ-სახელმწიფოებრივი მიდგომა.

როცა მიცემული გეგმების გადიდებას მოითხოვდნენ, ხობელი კომუნისტების თავაკები ეყრდნობოდნენ მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის აღებულ კურსს, რითაც აღწევენ ძვირფასი პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას. მიმდინარე წლის ხუთ თვეში რაიონში დიდი გადაჯარბებით შესარულა ხორცისა და რძის დაშვადების გეგმა-დავალბა.

დიადი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები იმის კარგი საწინდარია, რომ ხობის რაიონის მშრომელები მეათე ხუთწლედში წარმატებით დალაშქრავენ ახალ, მაღალ ზღუდეებს.

დავით ბიწაძე

თარხან პარხაძის ფოტო

ახალსოფლის რეპროდუქტორი მეურნეობის ფერმაში. მარჯვნივ მელორეობის საწარმოო გაერთიანების დირექტორი ნოდარ კარტოზია



არწიფე ჩიქობავა



გამოჩენილ ქართველ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ არწიფე ჩიქობავას დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

ქურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია, თანამშრომლები, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, მხურვალედ ულოცავენ მსცოვან მეცნიერს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ არწიფე ჩიქობავას ოთხმოცი წელი შეუსრულდა ეს არის დიდი მეცნიერის დაძაბული შრომის წლები. არწიფე ჩიქობავას მოღვაწეობას განსაზღვრავს არამარტო მის მიერ დაწერილ სამეცნიერო შრომათა რაოდენობის გამოშვებული ციფრები, თუმცა შრომათა რაოდენობაც დიდია: მას გამოქვეყნებული აქვს სამასზე მეტი გამოკვლევა, რომლებიც ეძღვნება ქართულ-ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას, ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებს; იგი ავტორია თხუთმეტი მონოგრაფიისა, რომელთაგან თითოეულში გადაჭრილია იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

არწიფე ჩიქობავას მთელი მოღვაწეობა დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (რომლის პროფესორიც იგი გახლავთ 1938 წლიდან) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან (რომლის ნამდვილი წევრიც არის აკადემიის დაარსების დღიდანვე — 1941 წლიდან).

ქართულისა და ქართველურ ენათა შესწავლას არწიფე ჩიქობავამ მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა, მათ შორის მონოგრაფიები „ჩიქობავას თვისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, „ქანურის გრამატიკული ანალიზი“, „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, „ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და მრავალი სხვა.

ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლამ ცხადყო, რომ ქართული ენის განვითარების უძველესი საფეხურების შესწავლისათვის აუცილებელია გავცდეთ ქართულისა და თვით ქართველური ენების ფარგლებს და მოვიშველიოთ მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-დიღურ, ჩანურ-ინგუშურ და დაღესტნურ) ენათა მონაცემები.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში, რომელიც „ქართული და კავკასიური ენების ბუნებასა და ნათესაობას“ ეძღვნება, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენის უძველესი ისტორიის საკითხებში გარკვევა შეუძლებელია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა გაუთვალისწინებლად: „რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძვე ტომთა ენები უოფია. უოფია განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენებისა და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის“.

1924 წელს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწადულის“ წინასიტყვაობაში არწიფე ჩიქობავამ დასაბუთა მთის მონათესავე ენათა შესწავლის აქტუალობა და მათი მნიშვნელობა ქართველურ ენათა ისტორიისათვის.

ამ პრობლემის პრაქტიკული გადაჭრისათვის არწიფე ჩიქობავას თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტში 1938 წელს შეიქმნა კავკასიურ ენათა კათედრა, ხოლო აკადემიის სისტემაში (ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში) — მთის კავკასიურ ენათა განყოფილება. აქ ხდება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა და აგრეთვე ახალგაზრდა კადრების მომზადება.

1929 წელს არწიფე ჩიქობავა იწყებს უმნიშვნელოვანესი დაღესტნური ენის — ხუნძურის შესწავლას და აქვეყნებს თავისი კვლევის შედეგებს მრავალრიცხოვან სამეცნიერო წერილებში, აგრეთვე მონოგრაფიაში „ხუნძური ენა“ (1962, ილ. ცერცვაძის თანაავტორობით).

თითქმის ყველა იმ საგანში, რომელსაც არწიფე ჩიქობავა ასწავლიდა და ასწავლის, მან შექმნა უნიკალური სახელმძღვანელოები. თბილისის უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ისწავლება ყველა ძირითადი იბერიულ-კავკასიური ენა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრა და აგრეთვე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში წარმოადგენენ სპეციალისტ-კავკასოლოგთა მომზადების ცენტრებს არამხოლოდ საქართველო-სათვის; თბილისში სწავლამილებული ლინგვისტიკოსები ამაჟამად მუშაობენ საბჭოთა კავშირის ყველა იმ სამეცნიერო ცენტრში, სადაც კი წარმოებს იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლა — ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

არწიფე ჩიქობავას ხელმძღვანელობით შექმნილმა კავკასოლოგთა

ლინგვისტურმა სკოლამ საერთაშორისო აღიარება კარგა რაოდენობის კლასიკური ტიპის სკოლამ, რომელიც ითვალისწინებს წარსულის მიღწევებს და ყველაფერ ფასეულს, რასაც თანამედროვე ენათმეცნიერება იძლევა. საკონსულტაციოდ და სტაჟირებისათვის თბილისში ჩამოდიან არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებიდან, არამედ უცხოელი კავკასოლოგებიც (საფრანგებიდან, პოლანდიიდან, ინგლისიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესასწავლად ჩატარებულმა მუშაობამ რეალური მეცნიერული საფუძველი შეუქმნა იმას, რომ თბილისში დაფუძნებულიყო საერთო-საკავშირო ორგანო, რომელშიც თანამშრომლებდნენ საბჭოთა კავშირისა და უცხოელი კავკასოლოგები.

არწიფე ჩიქობავას თაოსნობით სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ, ენისა და ლიტერატურის განყოფილების ბიურომ დაადგინეს შექმნილიყო ორგანო — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მისი გამოცემა დაავალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რედაქტორობა არწიფე ჩიქობავას დაეკისრა.

არწიფე ჩიქობავამ კოლოსალური ენერგია და ნებისყოფა ჩააქსოვა „წელიწადულის“ გამოცემის საქმეს. უკვე ხელთა გვაქვს „წელიწადულის“ პირველი ოთხი ტომი, ხოლო მეხუთე იბეჭდება (თითოეული ტომის მოცულობა 25 თაბახია); თითოეულ ტომში ჩაქსოვილია მკითხველისათვის უჩინარი რედაქტორის მეთად შრომატევადი სარედაქციო მუშაობა.

1965 წლიდან რეგულარულად, ყოველ ორ წელიწადში, იკრიბებიან საბჭოთა კავშირის ლინგვისტიკოს-კავკასოლოგები რეგიონალურ სამეცნიერო სესიებზე, რომლებიც კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში ტარდება.

რეგიონალური სესიები უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა კავკასიის მცოდნეთათვის, მათ შესაძლებლობა ეძლევათ უშუალოდ შეხვდნენ და გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებანი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე.

სამეცნიერო სესიებს ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომიტეტი აკად. არწიფე ჩიქობავას მეთაურობით.

არწიფე ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკოლოგიურ მუშაობას. არწიფე ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), რომელსაც საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა და რომელიც ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის ფასდაუღებელი საუნჯეა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის სამუშაოები, რომელიც ამაჟამად სრულდება ენათმეცნიერების ინსტიტუტში არწიფე ჩიქობავას გეგმით და საერთო ხელმძღვანელობით — „ქართული ენის“ მრავალტომიანი კურსი და „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“.

ჩვენ შევჩვიეთ ტერმინს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, შევეჩვიეთ იმას, რომ არსებობს სამეცნიერო დისციპლინა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმპერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება მიერ, ეს არის მნიშვნელოვანი შენაძინი მეცნიერებისათვის, ეს არის არწიფე ჩიქობავას ერთ-ერთი ძირითადი დასახურება მეცნიერების წინაშე.

არწიფე ჩიქობავა მიეკუთვნება ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადას, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს ფუნდამენტალური ნაშრომებით, შექმნეს სამეცნიერო სკოლები და მოამზადეს მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები.

მესამე ლენინის ორდენი, რომლითაც არწიფე ჩიქობავა დააჯილდოვეს მისი იუმბილესთან დაკავშირებით (იგი დაჯილდოებულია აგრეთვე შრომის წითელი დროშისა, და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით), წარმოადგენს აკად. არწიფე ჩიქობავას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღირსეულ დაფასებას.

ალექსანდრე მაკომატოვი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.



ორი მოხუცი

მთის ფერდობზეა შეფენილი მათი სოფელი, აქ დავაუკაცუნენ მეზობლები ბერუ და გონა. არც ერთი იყო თავსაყარი განძის მფლობელი, სახალწლოდ კი გააწყობდნენ უთუოდ ჩონჩახს.

უყვარდათ ყოფნა ერთმანეთთან, ღვინო, ზაასი. საერთო იყო მათთვის მუდამ კარგი სტუმარი. ყმაწვილკაცობა, სიჭაბუკე ჰქონდათ ლამაზი, წუთისოფლისთვის მათ არ უთქვამთ რამ სამღურავი.

ძლიერ მოხუცდნენ, ეზო-ეზო დაფანალობენ, ბერუ უტყვრად ჩამონაწვეთ ცრემლს შეიმშრალეს, გონა შეხედავს, მწარე ფიქრში ღრმად ჩაფლტობა, შემორაგულში დაჩერგილი ჩალა შრიალებს.

მ. ტ.-ს სსრკსს

შენ აღარა ხარ, შენ დაგვმორდი უხმო წვალებით... წკვარამს ჩაბარდა შენი კარგი შავი თვალებით... ის ხომ ჩემს ყრმობას, ჭაბუკობას გზას უნათებდა. თათუ! დღეს გულზე მძიმედ მაწევს ეს ღილი სევდა.

ვერ გავერთობი... ვერ დატყებები შენთან საუბრით, ამ უსაშველო სინამდვილეს ხმა ვერ ავუბი. ალბათ, იმიტომ რომ არა ვარ კაცი ავუია. რა უნდა იტყვას, როცა ვიცი მიწა გაყრია.

მეცხრე პაპიროსს ვეწვი ახლა, მწამს, მეთორმეტეც ვეღარ წამაქცევს. ღამეა, ცივა, კარში ვერ გახვალ, შენ მიმუჭრები მაინც გაქცევით...

დაგვმორდა დღენი შიშის და თრთოვლის, ნუ აგაფეთქებს ეს მცირე ელდა. თამბაქოს ბოლით, თამბაქოს ბოლით კი არ ვიხრჩობი, ვერევი სევდას.



სსრკის პარლამენტის სესიის დროს

განიხილავენ საამქროს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნათქვამია, საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. სწორედ საქმემ გამოაჩინა და შორს გაუთქვა სახელი თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას.

ეს იყო პირველი დიდი წარმატება. სამიოდე წლის წინ თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკამ მონაწილეობა მიიღო სასკოლო და საბავშვო ინვენტარების საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც იუგოსლავიაში გაიმართა. ქართველ ოსტატთა ხელით დამზადებულმა სხვადასხვა ინვენტარმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. აი, სწორედ ამიტომაც იყო, რომ თბილისის ფაბრიკამ საფრანგეთსა და უნგრეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენებშიც მიიღო მონაწილეობა, იქაც დიდი ყურადღება, მოწონება და აღიარება მოიპოვა.

თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში დამზადებულმა საბავშვო კომპლექტმა „ნუკრის“ მალე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიიღო.

ასეთმა წარმატებამ მეტი ძალა და მხნეობა შემატა ფაბრიკის ხუთსაკაციან კოლექტივს, მეტი პასუხისმგებლობითა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გრძნობით ადავსო იგი.

დაიწყო ძიება, ხაზვა, გააზრება, გაანალიზება, გაანგარიშება, თვალისთვის საამო და პრაქტიკულად მოხერხებული ინვენტარის ახალი ნიმუშების შესივნის შექმნა.

მოხვდა რაციონალიზატორული წინადადებები. ინჟინერმა პავლემ ფაჩუაშვილმა, ტექნოლოგმა აკოფ უზუმიანმა, მექანიკოსმა ალექსანდრე მდივანმა, ბრიგადირმა სერგო დარჩიაშვილმა და სხვებმა ბევრი სიახლე შეიტანეს წარმოებაში. შეიქმნა წიბოს დამფანერებელი ახალი ხაზი, ახალი დამკალიბრებელი ჩარხი, სხვადასხვა მოწყობილობა, რომლებმაც ფაბრიკას დიდი ეკონომია მისცა, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, საფუძველი შექმნა მოსწავლეთა და საბავშვო ბაღების ბავშვებისათვის დაეშვადენათ საუკეთესო მოდერნიზებული ინვენტარი.

შარშან საკავშირო გამოფენაზე თბილისის ფაბრიკის საბავშვო ინვენტარიც წარადგინეს.

გამოფენაში ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მრავალი საბავშვო ინვენტარის ფაბრიკა იღებდა მონაწილეობას. საქმე ბავშვებს — მომავლეს შეგნებლებს, ჩვენს უპირველეს სიყვარულსა და სისათუთეს შეეხებოდა. აი, ამი-

საკრისოს ნიუნით

ტომაც იყო, რომ კომპეტენტური კომისია უადრეს მომთხოვნელობას და სიმკაცრეს იჩინდა, ყველაფერს ზომავდა; დეტალურად ამოწმებდა წარმოდგენილი ინვენტარის თითოეულ დეტალს; მის დანიშნულებას, ესთეტიკურ მხარეს, მოხერხებულ პრაქტიკულ გამოყენებას, გამძლეობას.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ქართველმა სპეციალისტებმა აქაც ისახელეს თავი!

საქართველოს დედაქალაქში შექმნილ ბავშვთა ინვენტარის სამ სახეობას ერთხმად მიენიჭა ხარისხის ნიშანი.

ფაბრიკის დირექტორის, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერის სპირიდონ ქარჩავას კაბინეტში ყურადღებით ვაშვადიერებთ ახალ ფოსტას.

წერილები და დებუებები საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან არის გამოგზავნილი.

თბილისურ საბავშვო ინვენტარზე ყველაგან დიდი მოთხოვნაა. ქარხანაში დამზადებულ ასაკრფ კომპლექტებს „ნუკრის“, „ბაია“, „იას“, დიდი რაოდენობით თხოვლობენ კიევიდან, ალმა-ათიდან, ერევნიდან, ოდესიდან, ყარაგანდიდან, აქტიუბინსკიდან, კუსტანაიდან, სხვადასხვა ქალაქებიდან...


— ცხადია, — გვეუბნება სპირიდონ ქარჩავა, — ჩვენი ფაბრიკის საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს წალენჯიხის ტექმერწმეურნეობის მიერ გამოგზავნილ საჭირო მაღალხარისხოვან ნედლეულს, რომელსაც ყოველთვის შეუფერხებლად ვიღებთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მთელი ჩვენი ფაბრიკის სახელით მაღლობით მოვიხსენიო წალენჯიხის ტექმერწმეურნეობის კოლექტივი, რომელსაც ორი ორდენის კავალერი, გამოცდილი სპეციალისტი ნიკოლოზ აფაქიძე ხელმძღვანელობს. სიტყვამ მოიტანა და იმასაც დაეუშაბტებ: მეურნეობამ თითხმეტკერ დაიმსახურა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულის წითელი დროშა.

ხუთწლედის დამკვერელი წლის მესუთე თვე იწურება. საქართველოს რესპუბლიკაში, ისვეე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, დიდი შრომითი აღმავლობა სუფევს. ამ საერთო ფერხულს საიმედოდ უწყობს ფებს თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაც. საიუბილეო წელს ფაბრიკამ 5 მილიონ 970 ათასი მანეთის ნაცვლად მომხმარებლებს 4 მილიონ 20 ათასი მანეთის კარადები, სკამები, მაგიდები, მერხები, სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი ინვენტარი მიაწოდა.

წელსაც ისახელდებენ თავს. თქვეს და ასრულებენ კიდევ: 6 მილიონ 400 ათასი მანეთის საუკეთესო პროდუქციის მიაწოდებენ სკოლებსა და საბავშვო ბაღებს.


იპოლიმა გამსახურლია

საბავშვო მაგიდა „ბაია“.





დედა.



ქალიშვილი.

ბიზი უიჯანსანი

ინდოჩინეთის ბუდიზმის მამამთავარი დოქტორი ჯუნა ჰატი.

შაშაკაცის პორტრეტი.






ბ. ტყეშელაშვილი

ბ. ტყეშელაშვილი — კერამიკა.

თ. კაკაბერიძე — პეიზაჟი.



დ. ერისთავი — თამაში.



ა. კახუციაძე — ქედრობა.

ი. პატაშვილი — წყარო.



სუბსტანციალიზმი და კონსტრუქტივიზმი




თ. კახუციაძე — ვაშლები.






პორტრეტი.




ქალის პორტრეტი.

მარი სურგულაძე

ნატურმორტი.




დეკორატიული მოტივი.



სსსრ კავშირების კავშირი

სტევის ზეიმზე ვუბნებ მეგობარს,
ისევ აკრძალულ ცაზე ავღვდამ,
მე საკუთარი კაბა მეგონა,
ზეცის საკაბე — ლურჯი ხავერდი.



შარლოტა კვანტალიანი

მ ზ ა

მორის ფოცნიშვილს
მზე ჩადიოდა მდინარის პირას,
(მზე ყველა ტყვიელს უცებ აუჩუჩებს);
აბა, შეხედეთ რძისფერ ალუჩებს,
მზე ათამამებს ასე ალუჩებს
და გადადიან მერცხლებიც ყირას.

დადლილი ბიჭი ისროდა ბადეს
და მერე ბადეს ესროდა კენჭებს,
მზე უშოლტავდა ლონიერ კანჭებს,
მზე უშუმებდა დაშოლტილ კანჭებს
და მზე ტოვებდა ხეებს და ბარდებს.

მზე დაეძებდა სიზმრების ბუდეებს,

მზე — წყალთან ნიშნა და ზეცის მახვილი,
ოცნება ზოგჯერ სასწაულს ბადებს,
მზე წამოდო კულუღით ბადებს

და ბიჭს, ავსებულს ბედით და ბადით,
მძინარე ნიშნა მიბყავდა სახლში.

ჯანსიის საკაბე

ჯანსიის ლოდინში გადის ჯანსიარი,
გახუნებულა ფუნჯი ალურდის,
და როგორც ზეცის ჩამონათალი,
გდია გუბეში ლურჯი ხავერდი.

ქარი საავდრო ღრუბელს მოდენის,
სცევა ბედურას კენტად აფრენილს,
მე მტკივა გული ჩიტის ოდენი,
მე გული მტკივა — სხვა არაფერი.

ამირან ახრამია

შახვედრა ადგილის დედასთან

რაც მთავარია,
მაინც მოვედი,
აწვეტილ ფიქრებს
სად არ უვლიათ...
მე შენი სითბო
შხიბლავს ყოველთვის
და იგი ჩემი
ნავსადგურია.

ცერზე შემდგარი
ჭაღარა მთები,
ისევ მიმართელებს
იმ ძველ იარაღს,
შემომეგება
ბავშვობა ჩემი
და ხელში გაძლევს
აყრილ იარაღს.

მოულოდნელად
წამით ვფითრდები,
გადავიქცევი
მერე ღიმილად...
ჩამოწვებიან
სულში ფიქრები;
რა სიხარულად
და რა ტყვილად.

სომ ხედავ?
ბოლოს მაინც მოვედი,
აწვეტილ გრძნობებს
სად არ უვლიათ...
მე შენი გული
მხიბლავს ყოველთვის
და იგი ჩემი
ნავსადგურია.

სურათი

გრიგალი ზეცის
სიწმინდეს წაშლის,
ხეს გამოსტაცებს
უიღბლო ფურცლებს...
ვხედავ,
რა მაგრად
გაწვიმდა მთაში,
ვხედავ, რა ძლიერ
ატირდა უცებ, —
ეს ნაკადული —
მომღერლის მოდგმა,
ეს ნაკადული —
ნუკრი მთებისა...
გადმოიშალა
ღრუბლების ქოლგა
და მწვერვალები
უცებ შენისლა.
შეფარებოდა
მუხებს სანათა,
თვალბედადლილი

ფერთა ციხეში...
მერე მზედ
სადღაც გამონათა,
იელს ქალივით
წასკდა სიცილი.

წათისოვალს

გული უმღერის
მიწაერ ვნებებს,
თუ ცაზე მთვარეს
თახვივით მიდგმულს,
შეშოუჩნდები
კაცს — მეოცნებებს
და დამგვანებ
ნელ-ნელა ფიტულს.
და ზოგჯერ ჩემშიც
პატარა წამი
შეშოუჭრება
ფიქრების რეზალ...
ნეტავ, რას მტაცებ აშინარ ძალით,
უკან რომ ასე თვალეზი მჩრება?!

თენგიზ სვანაძე

ბაბუარევი

ბეჭდურ სტყენია სული კეწინით
და სიხარულიც ცოტა აღირხეს...
და მოგონება მოდლილ თვალეზში
მიუწვდომლობის ტკივილს აღვიძებს...
და თვლემის წისლში ისვენებს თვალა
და მკრთომარ ფერში სული ილევა...
და ეჩვენება მზე ჩამავალი
ყმაწვილკაცობის გამოტირებად...

თოვანში თოვლის სიზმრით ვირთვები
და უხმაურო წუთივით ვივლი...
მომენატრება შენი თითები,
პირველ თოვლივით წმინდა და თბილი.
წამილებს წამი გულთან შეხებებს,

პერი ზეცის სულია მხოლოდ...
ზეცა ყოველთვის სულს გვეცხებსება
და მიწა გვტაცებს ბოლოს და ბოლოს...
მე ვიწოდებ ფიქრის სიშაღლით
და შენ ხარ ჩემი სულის ღილილი.
გულში ტკივილი ვერ დავიშალე,
რა ეჩქმეოდა გულს უტკივილოდ?!
ახლა ლამაზად ათოვს მაღალ მთებს
და მინდა ახლოს, სულ ახლოს მუავდე.
ამ სიყვარულით რადგან ამანთუ,
ერთი ნაბიჯი მგონია ცაში...
ბავშვის ღიმილად ადნები მავებს,
მერე სივრცეებს ეხმაურები...
და მე ვივსები ღუმილით განგებ,
როგორც თოვანში — ნაფხურები.

მწვერვალებს ისე ანათებს თოვლი,
ანათებს ლამაზ ქალის ყელივით...

პირველი თრთოლვით ვერასდროს მოვლენ
წუთები სულში გადაბედილი...
და რჩება სსოვნა პირველი თრთოლვის,
ვით პირველ თოვლის...
ღელვის და თმენის...
და ის წუთები სიზმრებად მოვლენ,
სიზმრებად მოვლენ
და გულის ტკენით...
ახლა კი ნისლი აბრუებს ჰერს,
სურვილს შორეულ სივრცეთა მოვლის
და გული მიაქვს მოსაწყენ ქარებს
და ნატრობს სითბოს პირველი თოვლის...
პირველი თრთოლვით ვერასდროს მოვლენ
გზები წაშლილი და მობედილი...
მწვერვალებს ისევ ანათებს თოვლი,
თოვლი, ეული და მოწყენილი...

არ აკლებს ახალგაზრდა სპეციალისტებს. ეს განსაკუთრებით ითქმის საავადმყოფოს მთავარ ექიმ გიორგი შარაშიძეზე, მშობლიური მწარუნველობით რომ დახტრიალებს თავს ყოველ თანამშრომელს. სიტყვაძვირ მურმანს ვთხოვეთ რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა. მხრები აიჩჩა, აქაოდა მტტი რა გზაო, და დაგვეთხრა.
— გიყვართ თქვენი საქმე?
ისე შემოგვხვდა, თითქო გაუკვირდაო ჩვენი შეკითხვა.
— რა საქმე?


— ქირურგია!
— ქირურგია უბრალოდ „საქმე“ არ არის. ეს მოწოდებაა. ნამდვილ ქირურგებადაც ისევე იბადებიან, როგორც პოეტებად, მხატვრებად, კომპოზიტორებად. ჩვენი „საქმე“, როგორც თქვენ უწოდებ მას, ხელოვნებაა, მასაც სჭირდება შთაგონება და სიყვარული, ავადმყოფი მთელი გულით უნდა გიყვარდეს...
ამდენი ერთად ალბათ არასოდეს უთქვამს. მერე ისიც ვითხეთ, როდის გააკეთა პირველი ოპერაცია. მეოთხე კურსის სტუდენტი რომ ვიყავი.

მიპასუხა.
— ალბათ ძალიან გეშინოდით, არა?
არაო, გაიცინა, ეშინია მხოლოდ იმ ექიმს, რომელმაც უკვე ბევრი იცის.
— ახლა? ახლა გეშინიათ?
— ახლა კი ძალიან გეშინია! და როცა ეს შინი გაივლის, როცა ავადმყოფი სრულიად ჩანმრთელა გაეწერება აქედან, მაშინ ძალიან ბედნიერი ვარ! ნურასოდეს მოგშლოდეთ თუ ბედნიერება!

ნათელა ონაშვილი



ჰოვზის ბასსენაბა



ერთ ზაფხულს მწერალთა კავშირის ბაღში დავით გაჩეჩილაძემ სამი ახალი ლექსი წაგვიკითხა. რატომღაც ერთი მათგანი მეტრისმეტად რაფინირებული მეჩვენა. რა თქმა უნდა, მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მხარე, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, გარეგანი სამუშაოა, მაგრამ ნაწარმოების ზედმეტად გაშალაშინება ხელოსნობამდე მიდის და პოეტური ცეცხლი ჰქრება-შეთქი. ეს შენიშვნა მხოლოდ ერთ უსათაურო ლექსს ეხებოდა, მაგრამ მაინც ეწყინა. დავითი წყენას მალე იფიწყებდა, სიკეთეს კი — არასოდეს.

რაკი სიტყვა მის პოეტურ ნაწარმოებზე ჩამოვარდა (იგი დრამატურგიც იყო და მთავრმწერიც), გავიხსენით ერთი, ყველაზე კარგი ლექსი, რომელსაც „შთაგონება“ ეწოდება: „ლექსი სწერო, ეს ისაა, თითქოს წყალში ფეხშიშველმა შეაბიჯო თრთოლით, ეს ისაა, ვით ხასხასა გარიერაჲ, ეს ისაა, ვით პირველი თოვლი“.

ამ სტრიქონებთან დაკავშირებით გავიხსენით ერთი დიდი მწერლის სიტყვები: „მზე რომ თანაბრად მისწვდება როგორც ვარდს, ისე ნახევს, ეს ყველა მებაღემ იმ დროშიც ჩინებულად იცოდა, მაგრამ ამ ელემენტარულ ჰემმარიტებს ისეთი ფორმა მოუწახა რუსთაველმა, აბა სცადის ვინემ უკეთ გამოთქვას იგივე“.

მაშასადამე, მთავარია არა მარტო იდეა, არამედ გამოთქმის ფორმაც. როცა ლექსს კითხულობ, სიტყვის მაღლი და ძალა უნდა შეიგრძნო, ხოლო როცა ამ ძალას შეიგრძნობ, მაშინ ლექსი ხასხასა გარიერაჲ და პირველი თოვლიც არის!

საერთოდ, ვინც ლექსს წერს, ყველა პოეტი როდია; პოეტია ის, ვინც ორიგინალური, მხატვრული სახეებით გადმოგვცემს ეპოქის პათოსს, ხალხის გრძნობებსა და ფიქრებს, ოსტატურად ხატავს ბუნებისა და კაცთა ყოფის სურათებს, საჩინოდ ხდის მშვენიერსა და ამაღლებულს, სწორედ ასეთი პოეტი ვახლავთ დავით გაჩეჩილაძემ, რომელმაც რამდენიმე საანთოლოგიო ლექსი დაგვიტოვა; მხედველობაში მაქვს: „ძახილი უკვდავებისა“, „სალამური“, „ძველ სიმღერას როცა ვესმენ“, „ობიზარი“, „კრწანისი“, „ზამთარი“ და სხვ.

ამ ლექსებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი თავისი ერის, მშობლიური ქვეყნის იმ უანგარო სიყვარულით სუნთქავდა, ასე რომ ასხივოსნებს და აღიღებს გრძნობასა და ცხოვრებას. მისი პოეზია, ესოდენ მძაფრი და ამაღლებელი, დედაენის გასუმეორებელი სურნელთ დამშვენებული, შორს მდგომი მდაბიო და იაფფასიანი სილამაზისაგან, ერთგვარი მინიშნებაა იმ გზისა, რომლითაც უნდა იაროს ჰემმარიტმა პოეტმა.

დავით გაჩეჩილაძის შემოქმედება ვახლავთ დიდი შთაგონების წყარო, რომელიც მუდამ ამაღლებს ადამიანის გძნობას, სულს, არსებას.

დავით გაჩეჩილაძემ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი. საკმარისია აღინიშნოს გმირულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მისი ჩინებული ტრაგედია „მახტარიონი“ (ვაჟა-ფშაველას პოემის პოტივებზე), რომელიც წლების მანძილზე დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. იგი აღფრთოვანებით მიიღეს მოსკოველმა და კიეველმა მაყურებლებმა თეატრის გასტროლების დროს. კრიტიკამ ხაზგასმით აღნიშნა ამ წარმოდგენის დიდი მნიშვნელობა ქართული თეატრალური ხელოვნების მაგისტრალური ხაზის აღორძინება-განვითარებაში.

დავით გაჩეჩილაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ტრაგედია „ამირანი“, აქედან ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ნაწარმოების იდეურ მხარეს; მას სრულ ჰემმარიტებად მიაჩნდა: „ლამაზი ის როდია, რაც თეატრალურად აბრმავებს და აბრუებს მაყურებელს, ლამაზია ის, რაც ამაღლებს ადამიანის სულის ცხოვრებას სცენაზე და სცენიდან, ე. ი. მსახიობთა და მაყურებელთა გრძნობებსა და აზრებს“.

დავით გაჩეჩილაძემ ქართულ ენაზე ააქდრა ანტიკური ტრაგედიები: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ევრიპიდეს „მედეა“, რომლებიც დიდხანს ამშვენებენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სცენებს.

მის მიერ თარგმნილია აგრეთვე ლერმონტოვის „მასკარადი“, ბევრი რუსი და უცხოელი პოეტი. მრავალმხრივი იყო ამ უაღრესად ერთდირებული კაცის მოღვაწეობა; მან არ იცოდა, რა იყო დაღლა; ავადმყოფობის ფაშაც კი არ ისვენებდა, კითხულობდა, წერდა, თარგმნიდა და გატაცებით თამაშობდა ჰადრაკს.

კოლხუ ნადირაძე, ბონდო კეშელავა, აკაკი გაწერელია, ერეშია ქარელიშვილი, რევაზ მარგიაანი, ამირან გაბესკერია, ზურაბ ლორთქიფანიძე და კუკური ხოფერია ლოგინად ჩავარდნილ მეგობარს ყურადღებას არ აკლებდნენ; ხშირად ვიკრიბებოდით მასთან, ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, პოეზიაზე, ხელოვნებაზე.

ბორჯომში გამგზავრების წინ დავითმა გვითხრა: შეიძლება ეს შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდეს; საუბედუროდ, მისი წინათგრძნობა გამართლდა.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დავით გაჩეჩილაძე ჩვენ შორის აღარ არის; მძიმე მოგონებად მრჩება მასთან გატარებული დღეები და მის მიერ უკანასკნელად წაკითხული „ძახილი უკვდავებისა“: „მე ავადგები, მე ტანი მაქვს გაზაფხულისა, წინ ფუტკარი წამიდგება ხმად ჩონგურისა და იელვებს ჩემს მღიმარე თვალთა კამკამში საქართველოს მოწმენდილი ზეცის კაშკაში“.

ვლადიმერ ჰიბუბი

ერთხელ ბუადემი ისე დათვრა, ადგილიდან დაძვრა აღარ შეეძლო. თავბრუდახვეული ქუჩაში ეგდლო.

გამვლელი შეეკითხა! — რას აკეთებ, კაცო? ქვეყანა ბრუნავს. ვუცდი სანამ, ჩემი სახლი ჩემამდე მოაღწევს. როგორც კი დავინახავ, მაშინვე შინ შევალო, — უპასუხა ბუადემმა.



დიდი შიმშილობის დროს ბუადემი უჭმელობით სიკვდილის პირამდე იყო მიხული. ერთ პატარა ქალაქში რომ მივიდა, შეიტყო, რომ ქალაქის თავი მძიმე ავადმყოფია. ბუადემი შევიდა მასთან, მაჭა გაუსინჯა და სთქვა:

— მე ვიცი ავადმყოფობის წამლობა, ესლავე მომიტანეთ პური და თაფლი!

მისი თხოვნა მაშინვე შეასრულეს: ბუადემმა აიღო პური, ჩააწო თაფლში, შემოავლო ავადმყოფს თაფზე, რაღაც ლოცვები წაიბუტბუტა და შექაშა. ასე გაიმეორა რამდენჯერმე და წავიდა, მეორე დღეს ავადმყოფი გარდაიცვალა.

— რა საკვირველი წამლით უწამლე ავადმყოფს? — ჰკითხეს ბუადემს.

— ეს წამალი რომ არ მეხმარა, ახლა მკვდარი მე ვიქნებოდი! — უპასუხა ბუადემმა.



— მეტად უყვარხარ შენს სილედრს, — უთხრეს ერთხელ ბუადემს.

— რას ამბობთ, მე რომ იმას ვყვარებოდი, ქალს სხვას მისცემდაო, — თქვა ბუადემმა.



ერთ ნადიმზე ბუადემს ჰკითხეს: — მალა გაქვსო?

— ესეც რომ არ მქონდეს, — ჩემისთანა დატაკს რაღა დარჩებოდაო, — უპასუხა ბუადემმა.



ერთ ქურუმს დიდალი თვალ-მარგალიტი ჰქონდა. თვალ-მარგალიტის მოგროვებას დიდი შრომა მოაწდოდა და თავიც მოჰქონდა. ერთხელ ქურუმს მეგობარი ეწვია და თვალ-მარგალიტს სინჯვა და უწყო. როდესაც დათვალა ირებით გული იჭერა, მეგობარს მიუბრუნდა და გულითადი მადლობა გააღუხადა.

— ვერ გამოგია, მეგობარო, — წამოიძახა ქურუმმა, — რისთვის მიხდი მადლობას, თვალ-მარგალიტი ხომ შენთვის არ მიჩუქებია?!

— თვალ-მარგალიტის ნახვამ შენზე ნაკლებად არ მასიამოვნა, განსხვავება მე და შენში მხოლოდ ის არის, რომ შენ იმუღებუი ხარ თვალ-მარგალიტს სდარაჯობდე, მე კი ეგ შრომა თავიდან აცილებული მაქვს, — მიუგო მეგობარმა.



— ვის დაუჯარი თავი?

— ეგ ჩემი ნაცნობია, რომელიც მე დავაყენე ფეხზე.

— როგორ?

— აი, როგორ: წინათ თავის საყუთარი ეტლი ჰქონდა და ხულ იმით დადიოდა. ერთ დღეს გავწმინდე სუფთად, ესე იგი, მოვუშე რაც ეხება და ახლა ფეხით დასერირობს.



— რა უზრდელები არიან კაცები! (ორი ქალი ლაპარაკობს)

— რადა?

— ყალბ ბრილიანტებს გაჩუქებენ და ნამდვილ სიყვარულს თხოულობენ.

თავარა მზე იდგა კახეთში.

სალოკი თითის ტოლა ჩამოღვენილ წყალთან ხალხი კოკებითა და კასრებით მოგროვილყო.

წელში მოხრილ დედაბერს ბავშვებმა ხელი მშატანეს და კოკა მხარზე შეადგმევინეს. დედაბერი ფლარტუნით გაუდგა ხალხით გაიშვიათებულ, სამეზობლო გზას.

— ანუსია! ანუსია! — დაიძახა ვიღაცამ.

ანუსია შეჩერდა. თავი არ მიუბრუნებია. ისე გაიხედა გვერდით. იცნო დავითთან თამარი. ქალი ღობეს მოხდგომოდა.

— ანუსია, მოდი ჩვენთან, ანუსია! რა ღმერთის წყრომა შეგადგა, ადამიანო. პარკის გარჩევანა მინც წაგვახმარე ხელი. უსაქმოდ ჯდომა როგორ არა გბეზრდება?

ანუსიამ ცხვირზე წამომგდარი თამბაქოსფერი მუქეტი მოიქეცა და თავის ეზოში შევიდა.

თამარის სახლის აივანზე ქალებმა ჩაიქალიკეს. ვიღაცამ ანუსიას გასაგონად ხმამალა გაიცინა მიდიოდა ანუსია ფეხბარეული, გულადრენილი, მიაცილებდნენ ქალები ქილიკით.

პირქუში იყო ანუსია. გულგაუხსნელი და თვალგაუსწორებელი. მთელი ქვეყანა უარდა ანუსიას თვალში და ამ სიმყარლიდან განზე დგომასა და შორიდან ცქერას ამჯობინებდა. უნაყოფო თუთის ხეც კი არ გაიმეტა საერთო საქმისათვის.

ერთი წესი ჰქონდათ ამ სოფლებს და ქალებმა ამ წესს ახლაც არ უღალატეს. კოლექტივში ევენახის თონხა ჩათავდებოდა თუ ყანის მკართველი თუ ლეწვა. საქმის მოთავებას ქვიფ-ჭვიფით აღნიშნავდნენ. დღესაც საქმეს ამთავრებდნენ და ღამის თევას აპირებდნენ.

ზაფხული ილეოდა, ამ დროს ღვინო გაიშვიათებულია — ორმაგდება ღვინის ფასი; ანუსიამ იცოდა სოფლის ამბავი და ქვევრი თავმობდილო ჰქონდა. ხელადობითა ჰყიდიდა ღვინოს. ღრტირან ბოთლს უელამდე არ ავსებდა, ზოგჯერ წყალსაც შეაპარებდა ხოლმე.

— გოგობო, მივალ ანუსიასთან, იქნებ საჩვენოს მოვიყვანო და ერთი ხელადა ღვინოც დავტუხო! — გაანდო თავისი განზრახვა ქალებს თამარმა.

— მეხი მაგასაც დავათხლიშე, არც მაგისი ღვინო მინდა და არც მაგ გველხოკერას უტრება! — ჩაილაპარაკა ანამ.

თამარმა მინც გამოიტყვა სამხელადიანი დოქი ქინკრით, ქალებს გაეპარა და მალულად დაუძახა ანუსიას.

— ანუსია, ხელი ჩამოვარტავთ ერთმანეთს და პირი დავუკოცნოთ. გოგობმა პურის ქამა გადავწყვიტეთ. ანუსია, მოდი, ერთმანეთს ტკბილი სიტყვა ვუთხრათ, გულიდან ქარი ამოვიდოთ და მკლავი დავასვენოთ!

— საქეიფოდ არა მაქვს საქმე! — პირი გვერდზე იბრუნა ანუსიამ.

— მაშინ, სამი ხელადა ღვინო მომყიდე!

— გასაყიდი ღვინო არა მაქვს!

— გიორგობის თვემდე მასხსხე, ანუსია!

— არც გასასხსხებელი მაქვს!

ანუსიამ ლაპარაკი აღარ გააგრძელა და გატრიალდა.

* * *

ანუსია თედოს მეორე ცოლი იყო. თედოს ქარმაგობის ხანს გამოეცალა სახლის მადლი და ლაზათი. დარჩა თვალჩაიციებული ცხრა წლის გურამი მამის ხელ-გულში მათურებელი. დედის ალერსით გაუმადარი, დარჩათ შეუღლესავ-შეუკეთებელი სახლი, ჩალა დახურული მარნითა და სათავსოთი. გვერდმოქცეული სათონით, რქაურჩილი ვენახითა და ნაშენ-ნარგავი ბაღით.

ერთი წელი იარა თედომ ეულად, ერთი წელი აეუღებოდა მეზობლების კარზე საცხოვრისა და სარეცხისათვის. ერთი წელი თითონ ბანდა გურამს და თვითონვე უცვლიდა საბან-ღეიბს. გურამი გულჩათხრობილი გახდა. უშიშვოდ იღრინებოდა.



ანუსია

მ. მ. ბ. რ. ბ. ა.

ბოლშევიკი ბარისაშვილი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

სწავლაზე გული აიყარა. დილაობით ლოგინიდან წამოდგომას არ უშურებოდა, ავზინანობდა. გაბგელვული მოვარდებოდა სკოლიდან და არც ცხელი კერძი ხვდებოდა, არც ცხელი კერა.

შულის განზრახვას ადვილად მიუხვდნენ თედოს. კითხვა-კითხვით მიიგნეს წყალს გაღმა, მთის ძირში მცხოვრებ უშივილო და უძარო ქვრივ ანუსიას.

გურამი მღვრიე თვალებით შეხვდა ანუსიას. თავისი დედა მზის ქალად წარმოედგინა. დედის თვალები ირმის თვალები ეგონა. ანუსიას — მწვანე გამბეზობის. დედის მკლავები ადვის ტოტები ეგონა. ანუსიას — აწწლისა.

ხე იყო ანუსია ხეთაგანი; ქვა იყო ანუსია ქვწვი.

აბუტიც იყო ანუსია. თვლას ათასამდე კარგად ახერხებდა და არც ყიდვა-გაყიდვის ჩერემაკი ერეოდა.

უთქმელი იყო თედო. ზედმეტ სიტყვას უმიზნოდ არ იტყოდა. ანუსიასაც არასოდეს საუკედურობდა. ბედის ვარსკვლავს ემდებოდა. გულში უცმარისობისა და დაუკმაყოფილებლობის ქია ეჭდა. შიგნულს უღრღნიდა. უსხრავდა. გულადან მსუსხავი ქარი ვერ ამოედო. თუმცა პირყვავილობდა ქალის წინაშე და ენაშვებოდა. ანუსია მოტუხებდა იყო კაცისა. გულამდგრეული და ფიქრის ნიაღვარმოვარდნილი დადიოდა თედო. ზოგჯერ ოხვრას ამოაყოლებდა ვიო. — შავი ქვაო, ვითომ სიყვარულით ეტყოდა ანუსია. ამ კაცის სატკვარი ვერ გაეგო ვერავის. სატკვარმა მამინდა არ დაშალა თავი. როცა ანუსია ეზოს ბოლოში თონხის ტარზე პირქვედაშობილ თედოს წაეფეთა — კაცს სიხბლი ჩაქცევდა.

ბობლით ამოათრია ანუსიამ თედო სახლამდე საჩერებში ტახტზე დააწვინა და მშუინ ატეხა უვიროლი.

ველარც ანუსიას ვაი-ვიშმა, ველარც გურამის ცრემლებმა და ველარც ექიმის მცდელობამ ვერაფერი უშველა სასიკვდილოდ განწირულ კაცს.

დარჩა გურამი ანუსიას ხელსა და თვალში მათურებელი. ბავშვს ტანაყროლობის ასაკი მოეძალა და ანუსიამაც ადვილად მოწყვიტა სკოლას, ოჯახის მძიმე უღელი დაადგა ძვალგაუმარებელ ბიჭს. მინც ვერ ისვენებდა ანუსია — მინც ცეცხლის ლუქმას აქმევდა და ბალღამს აღვივებდა ბიჭს. გურამმა ზურგი აქცია მამისეულ სახლ-კარსა და დედის ნათესავს გაჰყვა რუსეთში სამუშაოდ.

სიმარტომ მთლად გაატყუერა ანუსია.

ერთი საფიქრალი აეტორილა — როგორმე ეზო ისე შემოედობა, რომ მეზობლის თვალ-უერი არ მოხვედროდა მის ბალ-ბოსტანს. უიღდა ქველაფერს. რისი ფულად ქცევაც შეიძლებოდა. ერთ წელიწადში იმდენი შეაგროვა, რომ ხრეშიც მოიმარაგა და ცემენტიც იყიდა. ფულის მძებარი ბიჭები შეყარა და მთელ ეზოს სამშენობლო ცემენტის კედელი შემოავლო. ესეც არ იკმარა. პირმოტეხილი ქალები დაამტვრია. სანაგვეზე გადაყრილი მინის ნამტვრევები მოაგროვა და კედელს აღმასივით მტრული მინები დაატანა. ფიცრის კარი ჩამოხსნა და ეზოს შუბის წვერებივით აღმართული რკინის ქიშკარი შეება.

არასოდეს არაფერი დაჰპარგვია ანუსიას. მაგრამ ხუთი გასაღები ეკიდა ყელზე. დაკეტილი ჰქონდა ქიშკარი, ოთახი, მარანი, სათავსო, საღორე. დაკეტილი ჰქონდა გურამის დედის ნაქონი, სინესტი-საგან დალიბრული სარკიანი შიფონერი, რომელ-

ყველა რუსი



წყლის მაღალგანვითარებული ძუძუმწოვარა ცხოველები: ვეშაპები, დელფინები, ზღვის ლომები და სხვები დიდი ხნის წინათ ხმელეთზე ცხოვრობდნენ. სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ საცხოვრებელი ადგილი შეინაცვლეს და წყლის სტიქიაში გადაინაცვლეს. ვინ იცის, რამდენი ჭირ-ვარამი გადახდათ თავს, ვიდრე ეს ცხოველები ახალ გარემოს შეეგუებოდნენ. ამ შეგუების პროცესში ბევრი სახეობა დაიღუპა და მთლიანად ამოწყდა.

წყალში ხანგრძლივმა ცხოვრებამ თავისი კვალი დაამჩნია ერთ დროს ხმელეთის ბინადარ ცხოველებს: შეიცვალა მათი გარეგნული ფორმა და მთელი რიგი სასიცოცხლო პროცესები.

შეინარჩუნეს რა ატმოსფერული უნაბეზღადი სუნთქვის უნარი, ძუძუმწოვრები საკვების მოსაპოვებლად იძულებულნი იყვნენ სულ უფრო დიდხანს დარჩენილიყვნენ წყალქვეშ. ცხალია, ცხოველს, რომელსაც უფრო მეტხანს შეეძლო წყალში ამოუსუნთქავდ დაყოფნება, საკვების მოპოვების მეთი შესაძლებლობა ჰქონდა და უფრო სიცოცხლისუნარიან შთამომავლობას იძლეოდა.

მეცნიერები ძალიან დაინტერესა ამ მოვლენამ. დაიხალა კითხვა: რამდენ ხანს შეუძლიათ ამ ცხოველებს წყლის ქვეშ ატმოსფერული ჰაერის გარეშე ყოფნა?

პასუხის გაცემა ძირდაპირი მაგალითების მოყვანით შეიძლება.

გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ზღვებითა და ოკეანეებით იზოლირებულ კონტინენტებსა და ქვეყნებს შორის დაიწყეს სატელეფონო კაბელების გაყვანა. კაბელის დაგება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ხდებოდა. ეს კაბელები ერთგვარი ხაფანგი აღმოჩნდა იქაური ცხოველებისათვის.

1982 წელს ბიბლიოსა და ეკვატორს შორის კაბელი დაზიანდა. სარემონტო სამუშაოებმა მიაკვლიეს დაზიანებულ ადგილს. ამ დაზიანების მიზეზი აღმოჩნდა კაშალოტი, რომელიც 1000 მეტრის სიღრმეზე გახლართულიყო კაბელში.

აღნიშნული ციფრი დიდხანს მიაჩნდათ კაშალოტის ჩაყვინთვის სარეკორდო სიღრმედ, მაგრამ 1955 წელს კაბელში გახლართვის შედეგად დაღუპული კაშალოტის სხეული ამოიღეს 1.200 მეტრის სიღრმიდან, 4 წლის შემდეგ 2.200 მეტრის სიღრმეში მოაკვლიეს დაღუპულ ვეშაპს. რომელსაც დაეწინაურებინა ლისაბონ-შადაგის ხაზი. ზღვის გოგანტებს წყლის ასეთ სიღრმეში საკვები იზიდავს. კაშალოტები უმთავრესად ეკვებიან დიდ სიღრმეში მცხოვრები მოლუსკებით — რვაფეხებითა და კალმარებით. გოგანტთა არასახამოვ-

ნო ინციდენტები კაბელებთან სპეციალისტებმა იმით ახსნეს, რომ კაშალოტებს კაბელები ეშლებათ უზარმაზარი რვაფეხების საცეცებში.

დიდ სიღრმეებში შეუძლიათ ყვინთვა ფეხფარფლიან ცხოველებსაც. მაგალითად, ავსტრალიის მაკ-მერდოს რაიონში 1968 წელს სელაპმა სპეციალური აღმზუსტვლი ხელსაწყოთი 460 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა! ზღვის ამ ბინადარისათვის ეს ხარეკორდო სიღრმეა.

ამფიზიონტებს შორის პირველობა ყვინთვაში ზღვის ლომს ეკუთვნის. იგი ხშირად ყვინთავს 100 მეტრ სიღრმეზე, ზღვის კატა წვდება 80-100 მეტრს, ხოლო ზღვის წავი შედარებით ნაკლებ სიღრმეზე — სულ 30-50 მეტრზე ყვინთავს.

წყალქვეშ უზარადად ძლიერია ზღვის ჩვეულებრივი სელაპი, დელფინი აფალინა — 15-16 წუთს, ვეშაპი ფინვალი — 20-30 წუთს, უდლის სელაპი — 32 წუთს, ცისფერი ვეშაპი — 50 წუთს, კაშალოტი — 90 წუთს, ვეშაპი-ბოთლცხვირა — 120 წუთს და ა. შ.

როგორც ცნობილია, ადამიანს წყალქვეშ არ შეუძლია 2-2,5 წუთზე მეტხანს ყოფნა. მხოლოდ ერთობ გაწვრთნილ მარგალიტის მაძიებლებს თუ შეუძლიათ გაძლონ საკმაოდ ღრმა წყლებში უფრო მეტხანს.

მეცნიერებმა ჩაატარეს სათანადო ცდები ხმელეთის ცხოველებზე. აღმოჩნდა, რომ ძალიან წყალქვეშ ძლებს 4 წუთსა და 25 წამს, ვირთხა 3 წუთსა და 6 წამს. ეს საკმაოდ ბევრია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცდებში მონაწილე ცხოველები წყალქვეშ არაფერს აკეთებდნენ, ხოლო, თუნდაც, სელაპს დროის იმავე მონაკვეთში თავისუფლად შეუძლია წყალქვეშ 4 კილომეტრი გაეტროს და საკვები მოიძიოს.

რა უწყობს სელს წყლისა და ნახევრადწყლის ცხოველებს ჩაყვინთონ ასე ღრმად და ამავე დროს ატმოსფერული ჰაერის გარეშე? რა ფიზიოლოგიური პროცესები უღვევს ამას საფუძვლად?

ცნობილია, რომ ადამიანის ფილტვების მოცულობა 2500 მილილიტრს შეადგენს. ჩვეულებრივი ჩასუნთქვისას შთაინთქმება 500 მილილიტრი ჰაერი, რომლისგანაც ფილტვებამდე აღწევს მხოლოდ 360 მილილიტრი. მასხადაამე, ადამიანის ფილტვების მთელი შესაძლებლობის მხოლოდ ერთი-მეშვიდედი ნაწილი გამოიყენება. ვეშაპთა უმრავლესობაში ერთი ჩასუნთქვისას ფილტვების შიგთავსი ახლდება 90 პროცენტით. მოძრავი მკერდის ჩონჩხი, მძლავრი მუსკულატურა, მაღალგანვითარებული ფილტვების ქსოვილი — ყველაფერი ეს გამიზნულია ღრმად ამოსუნთქვისათვის, რომლის დროს ფილტვებიდან გარეთ გამოაყოფა

სუნთქვის ბალასტური ნარჩენები და ფილტვები რაც შეიძლება სწრაფად იცვლება სუფთა ატმოსფერული ჰაერის ახალი ულუფით. ყოველი სუნთქვითა შოძრაობისას ვეშაპის ფილტვები იღებს 4-5-ჯერ მეტ უნაბეზღადს, ვიდრე ადამიანის ფილტვები. მხედველობაში უნდა მოვიდოთ, რომ კაშალოტი ყოველი ჩაყვინთვისას 60-70-ჯერ უფრო ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს.

წყლის ცხოველები ყვანთვის დროს გამოირჩევიან უნაბეზღადის ეკონომიური ხარჯვით. მაგალითად, ჩვეულებრივი სელაპი ჩაყვინთვიდან ერთი წუთის შემდეგ 15-ჯერ ნაკლებ უნაბეზღადს ხარჯავს. სასიცოცხლო აირის ასეთი ეკონომიური ხარჯვის მიღწევა ხდება სხვადასხვა გზით: ნივთიერებათა ცვლის შენელებით, სხვადასხვა ქსოვილის სისხლით მომარაგების სათანადო რეგულირებითა და ა. შ.

ყვინთვის დროს სისხლის მიმოქცევის რეგულირებას უდიდესი მნიშვნე-

ნელობა აქვს ზღვის ძუძუმწოვრებს. აქ მთავარია ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ თავის ტვინი ნებისმიერ პირობებში ნორმალურად მარაგდებოდეს სისხლით და იკვებებოდეს უნაბეზღადით. „იკლებენ“ რა ქვირფასი გაზის უკანასკნელ მოლუკულებს, სხეულის ყველა სხვა ორგანო უნაბეზღადით ამარაგებენ თავის ტვინს.

ცნობილია, რომ თავის ტვინის ზოგიერთი უჯრედი უუნაბეზღად 4-5 წუთის შემდეგ იღუპება, სხვა ორგანოებს კი უნაბეზღადით მშვიდ დეტაზე ყოფნა გაცილებით დიდხანს შეუძლიათ.

აი, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ წყლის ძუძუმწოვართა ხანგრძლივი ყვინთვის საოცარ უნარს.

არნოლდ გეგეპორტი,

ბიოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი.

ყველა რუსი

კაკის მიხედვით



ვაჰ, თუ შენსა ზუჭუჭ თმას ჩიტ ბუღებს შიგ უფენდეს?

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

თავი მოუკვდეს ზოგიერთს, რომ იტყუებენ სხვისას... საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან, ურცხვად ივსებენ ქიხასა.

თავ. სსრ კ. მარქსი
საბ. სსრ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

„საქსაქლი“ სპექსაკლი

პაციენტი: ექიმო, რა ამომავე-
რით?
ქირურგი: ბრმა ნაწლავი.
პაციენტი: რას ბრძანებთ, ბრმა
ნაწლავი ხომ ოთხი წლის წინათ
ამომავრეს?!
ქმარი: გადაიტანს თუ არა ჩე-
მი ცოლი სიმსივნის ამოჭრას?
ქირურგი: ნუ ღელავთ, იგი
უკვე აღარ არის.
ქმარი: ვინ? სიმსივნე თუ ჩემი
ცოლი?
— მზე რომ არ იყოს, რა არ იქ-
ნება?
— ჩრდილი.
— როდის დაანებებ თავს ქრთა-
მის აღებას?
— როცა ქრთამს არ მომცემენ.
— რატომ მოუკიდე ცეცხლი სი-
გარტეს?
— ჯანმრთელობას ვნებს და მინდა
დავწვა.
თინათინ ხმალები

...ცხელი ზაფხული იყო. ერთ სო-
ფელში კლუბის რემონტი მიმდინა-
რებოდა, ამიტომ გადაწყვიტეთ მ.
ჯაფარიძის პიესა-ზღაპარი „ლაპარა“
მედიკალინის ეზოში გაგვემართა.
მსახიობებს მაინცდამაინც არ ეუც-
ხოვათ ეს. (ხშირად გვექონდა შემთ-
ხვევა, როცა ეზოებში და საკოლმე-
ურნიეო კანტორის აივანზე გვითამა-
შია). ამჯერად ეკლესიის ეზო იმისა-
თვის ავირჩიეთ, რომ საფლავის ქვე-
ში დიდებულად შეცვლიდა სავარძ-
ლებს და ეკლესიის ოვალური ღობე
ბერძნული — ანტიკური თეატრის
შთაბეჭდილებას ტოვებდა.

წარმოდგენის დაწყების წინ ეკლე-
სიის ეზო ხალხით გაიჭედა. ისეთი
ხმაური, ისეთი გადაძახილ-გადმოძა-
ხილი, ისეთი მისალმება და მოკითხ-
ვა იყო, რომ წარმოდგენის დაწყება
ვერც იგაიგეს. საყვედური არ გვეთქ-
მოდა მხოლოდ ბოშობრა ძაღლებზე,
ისინი „პირველ რიგში“ უკანა ფეხებ-
ზე წამომჭდარიყვენ და ენაგადმოგ-
დებულნი, „აღტაცებულნი“ შემოგვ-
ყურებდნენ.

მე, დედოფალი, საში ვაჟიშვილის
აკვანთან ვფუსფუსებდი და თან ვლა-
ლინებდი, ჩანს, კარგადაც ვლინებ-
დი, რადგან „სმენად მხეცნი მოვიდი-
ან“. ჩვენ ხმას ავუწყეთ. ძაღლებმა
ღრენა დაიწყეს. პიესის კულმინაცი-
ური ადგილია, როცა კეთილი მეფე
შეებრძოლება ბოროტ შერგილს, მე-
ფემ, რომელსაც თამაშობდა ნიკო-
ლოზ მიქაშვიძე, ხმალი იძრო საკუ-
თარი შვილების დასახსნელად და
უცებ, თითქოს „მოილაპარაკეს“,
ძაღლები ერთბაშად მოწყდნენ ად-
გილს და ყეფითა და ღრენით „სცე-
ნისაკენ“ დაიძრნენ. შერგილის რო-

ლის შემსრულებელი შიშით ადგილ-
ზე გაქვავდა, მაგრამ ძაღლებს აღ-
ლომ უღალატათ და იერიში სწორედ
კეთილ მეფეზე მიიტანეს და ნიკო-
ლოზ მიქაშვიძეს ოქროთი მოვარა-
ქებული მეფის მანტია შემოაფხრი-
წეს. საწყალს, ხელში ხმალი რომ არ
ქეროდა, ცუდად ექნებოდა საქმე.
ძაღლების პატრონები წამოცვივდნენ
და სცენისაკენ გაქანდნენ, გაისმა შე-
ძახილები:

— ყურმა!
— სტოი, ლედი!
— არ უბინო, რაბა!
— სტუმარი არ იცი, შენ როზა?!
— მაგენი, არტისტები არიან!
არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრ-
ძელდა ეს ამბავი, ბოლოს და ბოლოს
ძაღლებმა იცნეს პატრონები და „სა-
ნახაობაც“ დამთავრდა.
გასამგზავრებლად მოვემზადეთ,
ბარგი მანქანაზე შევადგილეთ და მდუ-
მარედ დავიძარი ადგილიდან.
როგორც კი სოფელს გავცდით,
შევამჩნიეთ, რომ ტანსაცმლის ყუთის
სახურავი ნელ-ნელა იწვედა მალა
(მართალია ზღაპარს ვთამაშობ-
დით, მაგრამ ზღაპრული მოვლენებს
მაინცდამაინც არ გვექროდა).

— ალბათ ძაღლია დამალული! —
იყვირა ვიღაცამ. შიშით ენა ჩაგვი-
ვარდა. ყუთიდან მალე გამოჩნდა ში-
შისაგან თმაბურძენული მეგარდე-
რობეს თავი.

— არ გამიკვირდა, ტანსაცმლის
ყუთი ასე რამ დაამძიმა? — ბუზღუ-
ნებდნენ მუშები და თან ქალი ყუ-
თიდან ამოწყავდათ.
ელენე სპეგარალიძე

სოფელ მის კალაქი

სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ
სოფელში ამას წინათ იპოვეს გი-
განტური სპილოს საცხოოდ კარგად
შენახული ჩონჩხი.
გიგანტური სპილოები, რომლებ-
საც უზარმაზარი ეშვები ჰქონდათ,
შორეულ წარსულში ჩრდილოეთ
კავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობ-
დნენ.
მათი სრული ჩონჩხი ინახება
მხოლოდ ლენინგრადში, პარიზში,
თბილისსა და სტავროპოლში.

გაიღარი კოლექცია

პატარა ახალი ქალაქი ჩაიკოვსკი
მდინარე კამის ნაპირზეა გაშენებუ-
ლი. ამას წინათ ქალაქის მუზეუმს
მოსკოველმა ვ. სელიგონოვმა საჩუქ-
რად გადასცა ძველი ფულების მდი-
დარი კოლექცია.
ვ. სელიგონოვი ნახევარი საუკუნის
მანძილზე აგროვებდა 60 ქვეუნი მ-
ერ გამოშვებულ მონეტებსა და ასიგ-
ნაციებს.
მის კოლექციასა და საფრანგეთის
რევოლუციის დროინდელი ბონები, გა-
რიბალდის დროინდელი იტალიური
ფულის ნიშნები და სხვა იშვიათი ნი-
მუშები.

საურანგეთის დედოფალი

„ლენინგრადის“ სტუდია იღებს ახ-
ალ ფილმს „საფრანგეთის დედო-
ფალი“.
ფილმს საფუძვლად დაედო ისტო-
რიული ამბავი: დაახლოებით ათასი
წლის წინათ, თავად იაროსლავ
ბრძენის ქალიშვილი ანა ცოლად გა-
აყალღეს საფრანგეთის მეფეს ჰენ-
რიხ I.
ფილმისთვის საჭირო ეტლი, რომ-
ლითაც ანა მიემგზავრება საფრან-
გეთში, ხალურგლო საქმის საუკეთეს-
ო მცოდნე აზერბაიჯანელმა ოს-
ტატებმა დაამზადეს.

36 წლის უაქად

ვოლგოგრადის ოლქში მცხოვრე-
ბი მარია კ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა
იყო, როცა მეტყველების უნარი და-
კარგა.

ექიმ-ლოგოპედებს იმედი არ დაუ-
კარგავთ. ისინი პაციენტს ხანგრძლი-
ვი დროის მანძილზე უტარებდნენ
სამკურნალო სეანსებს.

და აი, ამას წინათ, დამუნჯებიდან
36 წლის გასვლის შემდეგ, ხანში შე-
სულ მარია კ-ს მეტყველების უნარ-
ი დაუბრუნდა.

3600 წელიწადი

დროის საბჭოთა ეტალონი მუშა-
ობს 1962 წლიდან. ამ ხნიდან მისი
სიზუსტე უცვლელია.
სპეციალისტთა გამოანგარიშებით,
საათი, რომელიც დროის ეტალონად
არის მიჩნეული, შეიძლება წინ წა-
ვიდეს, სან ჩამორჩეს მხოლოდ ერთი
წამით... 3600 წელიწადში.

„დროის“ 766 გამოკვეთილი პროსპორის პასუხები:

- თარაზულად: 8. ლამარკი; 8. აკა-
ნადა; 9. სკიფრი; 10. ტარა; 11. აკო-
ლადა; 12. ანცი; 18. ბერკლი; 15. ია-
დონი; 17. დრამა; 19. გაფრანდაშვი-
ლი; 22. იორდა; 24. ორშიმო; 26.
გლიერი; 27. ეტნა; 29. ალბიონი; 30.
ხემი; 31. ონიანი; 32. რეზონი; 38.
ამფიბია.

- შვეშულად: 1. მარბელი; 2. ფარა;
3. ლატანი; 4. აშილაზა; 5. ისლაში;
6. ლილა; 7. პროცენტი; 14. კობალ-
ტი; 16. დილოში; 17. „დაისი“; 18.
არშია; 20. ბარიტონი; 21. ბერგმანი;
28. რეჯიანი; 25. ოვაცია; 26. გვიმ-
რა; 28. ალაო, 30. ზაზი.





ეს ფოტოსურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვიქტორ ჭერიანელმა გადაიღო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას.

ყველა ფოტოსურათს აქვს რაღაც საერთო, რომელიც ერთ თემად ჰკრავს და აერთიანებს მათ.

დაუკვირდით ამ ფოტოსურათებს და მოგვწერეთ რა წარწერებს გაუკეთებდით მათ.

ვინც ყველაზე მოხდენილ და მახვილგონივრულ წარწერებს გამოგვიგზავნის, გამარჯვებულად ჩაითვლება.

გამარჯვებულის ვინაობა გამოქვეყნდება, მას რედაქციისაგან ერთი წლით გამოეწერება უურნალი „დროშა“





ინდექსი 76056
ბიბლიოთეკა

